თქვენი მხრიდან რეგისტრაციის დასრულებით, ეთანხმებით და თქვენთვის ცნობილია, რომ **შპს „ორიენტ ლოჯიკი“** (შემდგომში მონაცემთა დამმუშავებელი - ს/ნ: 202052054; იურიდიული მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვ. გოძიაშვილის ქ. N71; ალტერნატიული მის: ქ. თბილისი, გ. დანელიას ქ. N4, ტელ: +995 (032) 254 18 18; ელ. ფოსტა: Info@olacademy.ge) განახორციელებს თქვენს მიერ მითითებულ პერსონალურ მონაცემების - სახელი, გვარი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და პირადი ნომრის დამუშავებას თქვენთვის სატრენინგო მომსახურების გაწევის მიზებით, ასევე კომპანია განახორციელებს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების, მისი გაადვილების, კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის, კომპანიაზე მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნებით.

თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრინციპებით, საფუძვლებითა და წესით.

თქვენი მხრიდან სარეგისტრაციოდ განსაზღვრული მონაცემების მიწოდება ჩვენთვის სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ განვახორციელებთ თქვენს რეგისტრაციას და შესაბამისად მომსახურების გაწევას.

მონაცემების დამუშავება ხორციელდება სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან/ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს 3 წლისა, ვადის გამოანგარიშებისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესი.

თქვენ, როგორც მონაცემთა სუბიექტს საქართველოს კანონით პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ გაქვთ შემდეგი უფლებები: თქვენი პერსონალური (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების) ინფორმაციის მიღების უფლება, მონაცემების გაცნობისა და ასლის მიღების უფლება; მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება; მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება; მონაცემთა დაბლოკვის უფლება; მონაცემთა გადატანის უფლება; თანხმობის გამოხმობის უფლება; გასაჩივრების უფლება. ასევე თქვენთვის საინტერესო საკითხებზე ან/და თქვენი ნებისმიერი (მათ შორის ზ/ა) უფლებების რეალიზების მიზნით მოგვმართეთ ზემოთ აღნიშნულ კომპანიის საკონტაქტო არხებზე.

კომპანიას ყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელსაც მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიმართოს განცხადებით, მისი პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული უფლებების რეალიზების მიზნით მის მეილზე წერილობით, ოფიცერი მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნაზე, მიმართვიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში გასცემს პასუხს, ოფიცრის მონაცემები: - გიორგი შერმადინი, საკონტაქტო მეილი legal@safco.ge.ტელ: 595101910.